



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



13/01/2015

MCLA 3 15 00000011

**საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების უზრუნველსაყოფად აუცილებელი  
ღონისძიებების გატარების შესახებ**

„საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს #219 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების ეფექტურად შესრულების მიზნით, „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2009 წლის 29 დეკემბრის #903 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

- 1.სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების უზრუნველყოფის მიზნით, სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებს, მათი კომპეტენციის ფარგლებში, დაევალოს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურისათვის „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს #219 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხით გათვალისწინებული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის მიწოდება.
2. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურისათვის **ადმინისტრაციული სამმართველოს** მიერ წარსადგენი ინფორმაცია და წარდგენის ვადები:

	<b>ინფორმაციის სახე</b>	<b>წარდგენის ვადა</b>
1	ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა	ცვლილების განხორციელებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში

2	ადმინისტრაციული ორგანოსა და მისი სტრუქტურული ერთეულების/ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები (დებულება/წესდება, შინაგანაწესი)	ცვლილების განხორციელებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში
3	ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელის, მოადგილეების, სტრუქტურული ერთეულების/ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელების (საჯარო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში – მათი ხელმძღვანელებისა და მოადგილეების) შესახებ ინფორმაცია: სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები	ცვლილების განხორციელებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში
4	ადმინისტრაციული ორგანოსა და მისი სტრუქტურული ერთეულების/ტერიტორიული ორგანოების მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსის ნომერი, ცხელი ხაზის ნომერი	ცვლილების განხორციელებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში
5	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის (პირების) სახელი, გვარი, თანამდებობა, სამსახურის ელექტრონული ფოსტა, სამსახურის ტელეფონისა და ფაქსის ნომრები	ცვლილების განხორციელებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში
6	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები	ცვლილების განხორციელებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში
7	ადმინისტრაციული საჩივრის ფორმები/ნიმუშები და ინფორმაცია გასაჩივრების წესის შესახებ	ცვლილების განხორციელებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში
8	ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარდგენილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში	ანგარიშის წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში
9	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად განცხადებების შესახებ ზოგადი სტატისტიკა	კვარტლის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში
10	ადმინისტრაციულ ორგანოში გამოცხადებული ვაკანტური პოზიციების ჩამონათვალი	კონკურსის გამოცხადების დღეს
	კონკურსის შედეგები (მხოლოდ კონკურსში გამარჯვებულ პირთა ვინაობა)	გამარჯვებულის გამოვლენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში
	კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და პროცედურა	ცვლილების განხორციელებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში

11	ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავს ადმინისტრაციულ ორგანოში კონკურსის ჩატარების წესებს	ცვლილების განხორციელებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში
12	ადმინისტრაციულ ორგანოში დასაქმებულ პირთა ოდენობა კატეგორიების მითითებით, აგრეთვე გენდერულ ჭრილში	კვარტლის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში
13	ნორმატიული აქტები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობასთან	ძალაში შესვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში
14	ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, რომლებიც, ადმინისტრაციული ორგანოს შეფასებით, საზოგადოებრივი ინტერესის შემცველია	ძალაში შესვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში
15	ინფორმაცია იმ მოსაკრებლების, ტარიფებისა და საფასურების შესახებ, რომლებიც დადგენილია ან/და რომელთა გადახდევინებაც ხდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ	ცვლილების განხორციელებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში

2. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურისათვის **საერთაშორისო, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველოს** მიერ წარსადგენი ინფორმაცია და წარდგენის ვადები:

	ინფორმაციის სახე	წარდგენის ვადა
1	ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში	წლის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში
2	ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შემუშავებული სტრატეგიები, კონცეფციები და სამოქმედო გეგმები	ცვლილების განხორციელებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში
3	ადმინისტრაციული ორგანოს სერვისების შესახებ ინფორმაცია	ცვლილების განხორციელებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში

3. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურისათვის **ეკონომიკური სამმართველოს** მიერ წარსადგენი ინფორმაცია და წარდგენის ვადები:

	ინფორმაციის სახე	წარდგენის ვადა
1	სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა	კვარტლის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში
2	ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ	კვარტლის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში

	ინფორმაცია მიმწოდებლის, შესყიდვის ობიექტის, შესყიდვის საშუალების, ხელშეკრულების ღირებულებისა და გადარიცხული თანხების მითითებით	
3	ინფორმაცია სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ	კვარტლის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში
4	რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯები	კვარტლის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში
5	ადმინისტრაციული ორგანოს დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტები	კვარტლის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში
6	ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია (ნაზარდი ჯამით)	კვარტლის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში/ წლის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში
7	ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად)	კვარტლის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში
8	ინფორმაცია ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად) (ცალ-ცალკე ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გა-რეთ განხორციელებული მივლინებების მიხედვით)	კვარტლის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში
9	ადმინისტრაციული ორგანოს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი მოდელის მითითებით	წლის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში
10	ინფორმაცია საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯის შესახებ ჯამურად	წლის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში
11	ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია ჯამურად	წლის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში
12	ადმინისტრაციული ორგანოს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ჩამონათვალი	წლის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში
13	ინფორმაცია განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (საერთაშორისო და ადგილობრივი ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ჯამურად	წლის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში
14	უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი	წლის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში

	ფინანსური დახმარების (გრანტები, კრედიტები) შესახებ ინფორმაცია	
15	ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული გრანტების შესახებ, მათ შორის, გრანტის მიმღები, მიზნობრიობა, გრანტის მოცულობა და გადარიცხული ოდენობა	წლის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში
16	საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაცია	კვარტლის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში
17	სამართლებრივი აქტები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი თანხების შესახებ	აქტის ძალაში შესვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში

4. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურისათვის **აღსრულების კონტროლის, სტატისტიკისა და ანალიზის სამმართველოს** მიერ წარსადგენი ინფორმაცია და წარდგენის ვადები:

	ინფორმაციის სახე	წარდგენის ვადა
1	მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები	თვის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში
2	დანიშნული სასჯელის სახეების მიხედვით მსჯავრდებულთა შესახებ სტატისტიკური მონაცემები	თვის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში
3	ასაკის მიხედვით მსჯავრდებულთა სტატისტიკური მონაცემები	თვის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში
4	სქესის მიხედვით მსჯავრდებულთა სტატისტიკური მონაცემები	თვის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში
5	პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ სტატისტიკური მონაცემები	თვის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში
6	სააგენტოს ხელშეწყობით დასაქმებულ მსჯავრდებულთა რაოდენობის სტატისტიკური მონაცემები	თვის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში

5. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურისათვის **სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს** მიერ წარსადგენი ინფორმაცია და წარდგენის ვადები:

	ინფორმაციის სახე	წარდგენის ვადა
1	სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულ მსჯავრდებულთა რაოდენობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები	თვის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12-ე კ/მ #6).

**გიორგი არსოშვილი**

სსიპ პრობაციის ეროვნული სააგენტო  
სააგენტოს უფროსი  
გიორგი არსოშვილი

